



№ 11034

17 ივლისი 2020

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სპეციალური პენიტენციური სამსახურის N2, N3, N5, N6, N7, N8 და N15 პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსდა რენტგენის დანადგარები მარკირებული:

- G-1445 - მოდელი BI2002, სერიული ნომერი TFNCD-III-150049, მწარმოებელი Nuchtech Company Limited, ჩინეთი, გამოშვების წელი 2016 (რენტგენის მილაკის მოდელი VJT, სერიული ნომერი VJT1012768, მწარმოებელი VJT Technologies, აშშ, გამოშვების წელი 2016);
- G-1446 - მოდელი CX6040D, სერიული ნომერი TFNPA-VIII-150034, მწარმოებელი Nuchtech Company Limited, ჩინეთი, გამოშვების წელი 2016 (რენტგენის მილაკების მოდელი: 1. SHV P/N 105739-032, სერიული ნომერი BK1890; 2. SHV P/N 105739-032, სერიული ნომერი BK5030; მწარმოებელი Spellman, აშშ, გამოშვების წელი 2016).

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, გვაცნობოთ:

1. რამდენად უსაფრთხოა ზემოაღნიშნული რენტგენის აპარატების გამოყენება ადამიანის ჯანმრთელობისთვის და რა შესაძლო გავლენა შეიძლება იქონიოს ამ რენტგენის აპარატების გამოსხივებამ ადამიანის ჯანმრთელობაზე?
2. აღნიშნული რენტგენის აპარატებით ადამიანის შემოწმების ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერ გამოყენება ითვლება უსაფრთხოდ ადამიანის ჯანმრთელობისთვის?
3. აღნიშნული რენტგენის აპარატების გამოყენება რა დაავადებების მქონე ადამიანებისთვის არაა რეკომენდირებული ანდა აკრძალული და რა კატეგორია განეკუთვნება რისკის ჯგუფს?

ასევე, გთხოვთ, გადმოგვცეთ ზემოაღნიშნული რენტგენის აპარატების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენის თქვენს ხელთ არსებული კომპეტენტურ ორგანოთა კვლევა/დასკვნა და სხვა ამასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალები.

პატივისცემით,

დავით ასათიანი

თავმჯდომარე

